საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1702/01
13/02/2020

1702-01-2-202002131324

სს „ენერგო პრო ჯორჯია გენერაციას“

მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 31 იანვრის N1547 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ჩხოროწყუ ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ოჩხომურის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. ამასთან სკრინინგის განცხადება შესრულებული უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო უბნის GPS კოორდინატები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც სს „ენერგო პრო ჯორჯია გენერაცია“ წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე